ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01263072708**
თარიღი: **03/11/2026**

**ადრესატი:** შალვა ბეგიაშვილი
**პირადი ნომერი:** 01011088083
**მისამართი:** თბილისი, შალვა მშველიძის ქ. N 4, ბ. 32

ბატონო შალვა,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2026 წლის 26 ოქტომბერს შემოსული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის 2026 წლის 26 ოქტომბრის №10-0126299480 წერილით (მერიაში რეგისტრაციის №15-01262992299-16) გადმოგზავნილი თქვენი განცხადების (მერიაში რეგისტრაციის №19/01262962780-01) პასუხად, სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, გაცნობებთ შემდეგს:

2009 წლის 5 ივნისიდან თბილისის ტერიტორიის მიწათსარგებლობის ზოგადი უფლებრივი ზონირება განისაზღვრა „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმით, ხოლო 2015 წლის 6 იანვრიდან - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად.

2019 წლის 20 მარტიდან დღემდე მოქმედია ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39–18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.

2014-2019 წლების ფუნქციური ზონები ხელმისაწვდომია ინტერაქტიულ რუკაზე https://ms.gov.ge/msmap/.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ საზღვრებს, გაცნობებთ რომ უპირატესია ,,ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ'' საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის №4173–რს დადგენილება.

მოქმედი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი №2-ის მე-2 მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გათვალისწინებული განაშენიანების კონტური წარმოადგენს საზღვარს ქალაქის განაშენიანებულ და გაუნაშენიანებელ ტერიტორიებს შორის და განისაზღვრება მის გარეთ არსებული ტერიტორიების საქალაქო სამშენებლო განვითარების შეზღუდვის პირდაპირ პირობად. მოცემული შეზღუდვა ეყრდნობა ქალაქგეგმარებით მოსაზრებებს და მისი კორექტირება შესაძლებელია მასშტაბით გათვალისწინებული ტექნიკური და გააზრებითი ცდომილების ხარისხის ფარგლებში, შესაბამისი ქალაქგეგმარებითი დასაბუთების საფუძველზე. მოცემული საზღვრის კორექტირების მიღმა, ფუნდამენტური ცვლილება წარმოადგენს ცვლილებას კონცეპტუალურ დონეზე და შესაძლებელია მხოლოდ დოკუმენტისა და მისი მიდგომების სისტემური რევიზიის პირობებში.

დამატებით განგიმარტავთ, რომ სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებები საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე https://ms.gov.ge/msmap/; <თბილისის ელექტრონული განცხადებები> <ურბანული საკითხები>.

ამასთან, გიგზავნით საჯარო ინფორმაციას, რომელიც შეადგენს ერთ rar ფაილს და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18

დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონირება.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების კონტური.

3. ისტორიული ნაწილის დამცავი ზონები.

4. „ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის №4173–რს დადგენილებით დამტკიცებული ადმინისტრაციული საზღვრების რუკა.

დანართი: rar ფაილი.

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი